განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 19/02/2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	208215509
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულა

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგიია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფსიქოლოგიის ბაკალავრი 0313
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ალექსანდრე რუსეცკი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა გოგატიშვილი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინა გვამაბია, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნის პროექტი

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მომგებიანი კომერციული პროექტია, რაც ნათლად აისახება წარმოდგენილ ბიუჯეტში და ქმნის პროგრამის ეფექტურობის მაჩვენებელს.
წმინდა მოგება, რომელიც ასევე ასახულია ბიუჯეტში იძლევა იმის საშუალებას, რომ განვითრდეს პროგრამის ოთხივე მიმართულება (კონცენტრაცია).

პროგრამა ორიენტირებულია საქართველოს დასაქმების ბაზარზე და კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადებაზე. ამ მიზნით ჩატარებულია შრომის ბაზრის, სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკლველვა, მათი მოთხოვნილებების შესწავლა. ასევე კვლევებმა აჩვენა დამსაქმებლების საჭიროებები და სურვილები. კვლევების შედეგები და მიგნებები ასახულია პროგრამაში.

პროგრამაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მიზნები და ამოცანები.

პროგრამის ასარჩევ საგნებში გამოიყო ოთხი სპეციალობა, მიმართულება (კონცენტრაცია):

- კლინიკური ფსიქოლოგია;
- შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია;
- განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგია;
- სოციალური ფსიქოლოგია.

პროგრამაში სასწავლო კურსები ისეა განაწილებული, რომ მათი წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტებს საშუალება აქვთ წარმატებულად დასაქმდნენ შრომის ბაზარზე ან გააგრძელონ სწავლა შემდეგ საგანმანათლებლო საფეხურზე. უნივერსიტეტში მოქმედებს 5 სამაგისტრო პროგრამა, მათ შორის ერთი სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით. ეს იძლევა შესაძლებლობას, რომ ბაკალავრების ნაწილი გადავიდეს განათლების ამ საფეხურზე,

უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური ბაზა, რომელიც ეხმარება აღნიშნულ პროგრამის რეალიზაციას და განვითარებას. დაგეგმილია ფსიქოლოგიური ლაბორატორიის და საკონსულტაციო ცენტრის გახსნა.

უნივერსიტეტი იყენებს ამ ბაზას არა მხოლოდ სტუდენტთა პრაქტიკებისთვის, არამედ მათი მომავალი დასაქმებისთვის. ანუ მიმდინარეობს საკუთარი სისტემის კადრებით უზრუნველყოფის პოლიტიკა.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტს აკრედიტაციის კომისია 2020 წლის 16 დეკემბერს ეწვია. უნივერსიტეტმა კომისიას მუშაობას საუკეთესო პირობა შეუქმნა. სამუშაო სივრცე იყო უზრუნველყოფილი კომპიუტერებით და სმარტ-დაფით. კომისიის წევრების მოთხოვნებზე და თხოვნებზე პერსონალი ახდენდა მყისიერ რეაგირებას. ადმინისტრაციამ და

აკადემიურმა შემადგენლობამ უზრუნველყო კომისიის მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ოპერატიული წარდგენა - ბეჭდვითი და ელეტრონული სახით.

კომისია მუშაობდა კოლეგიალურ და კეთილგანწყობილ გარემოში. ინტერვიუები მიმდინარეობდა დაუძაბავად და გულახდილად, რამაც კომისიას შესაძლებლობა მისცა მიეღო ამომწურავი პასუხები დასმულ კითხვებზე.

კომისიას ჰქონდა შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან. შეხვედრა გაიმართა მოწვეული და აკადემიური პერსონალის ნაწილთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან. საინტერესოთ წარიმართა შეხვედრები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. მნიშვნელოვანი იყო რომ სტუდენტები წარმოადგენდნენ სხვდასხვა კურს რაც გვაძლევდა საშუალებას კომპლექსური ხედვა ჩამოგვეყალიბებინა.

სამწუხაროა, რომ გამომდინარე მცირე დროისა, კომისიის წევრების სიმცირისა და ასევე იმის გამო რომ ყველა კომისიის წევრი პროტოკოლიდან გამომდინარე უნდა იყოს ერთად, ვერ მოხერხდა უნივერსიტეტის უნიკალური ინფრასტრუქტურის უფრო სრულყოფილად დათვალიერება და უნივერსიტეტის სერვისების უფრო სიღრმისეულად გაცნობა. მიუხედავად ამისა შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ზოგადად ინფრასტრუქტურა გამოიყურება ძალიან შტამბეჭდავად. როგორც არსებული ინფრასტრუქტურა, ასევე მშენებარე ობიექტები ქმნიან დამაჯერებელ სურათს, რომ უნივერსიტეტი იმყოფება განვითარების პროცესში რაც დამატებითი სტიმულია როგორც თანამშრომლებისათვის, ასევე სტუდენტებისთვის.

კომისიას მიეცა საბაკალავრო საკვალიფიკაციო ნაშრომების შეფასების შესაძლებლობა. ნაშრომები როგორც გარეგნულად, ასევე შინაარსობრივად წარმოადგენდნენ სტუდენტების და პროფესორების თანამშრომლობის პოზიტიურ სურათს. ყოველივე ნაშრომი ორიენტირებული იყოს საზოგადოებაში არსებული მწვავე პრობლემების და გამოწვევების მოგვარებაზე რაც წარმოადგენს უნივერსიტეტელების მაღალი სოციალური პასუხისგებლობის კარგ მაგალითს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

არსებითად პროგრამა შესაბამისობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან:

1. პროგრამის მიზნებთან;
2.სწავლების მეთოდოლოგიასა და ორგანიზებასთან, პროგრამის შეფასების ადეკვატურობასთან;
3. სტუდენტთა მიღწევებთან და მათთან ინდივიდუალურ მუშაობასთან;
4. სწავლების რესურსებით უზუნველყოფასთან;
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობებთან.

პროგრამის სასწავლო გეგმა, დისციპლინების ჩამონათვალი სრულებით აკმაყოფილებს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.

დისციპლინათა სემესტრული განაწილება ლოგიკურია. პროგრამას უძღვება კვალიფიციური პროფესორი და მის განხორციელებაში მონაწილეობს გამოცდილი და მომზადებული აკადემიური პერსონალი. რექტორატი და ხარისხის სამსახური, უნივერსიტეტის ყოველი რგოლი ჩართულია პროგრამის განვითარებაში.

ხუთივე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მიუხედავად ამისა უნდა აღინიშნოს, რომ დაფიქსირდა სუსტი რგოლი საინფორმაციო პოლიტიკის წარმოებაში, რაც აისახა იმაში, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე წარმოდგენილი პროგრამის მიზნებში არა საკმარისად წარმოადგენდნენ რეალურ პროგრამაში არსებულ ინფორმაციას. პროგრამის ჩარჩოში მიღწეული შედეგები კი - არასაკმარისად არის ასახული სარეკლამო და საინფორმაციო მასალებში. ასევე მეტ ყურადღებას მოითხოვს პროგრამის უახლესი ლიტერატურით უზრუნველყოფის საკითხი და საბიუჯეტო რესურსების მართვის პოლიტიკა. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მომზადდა შესაბამისი რჩევები.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

(1.1) - პროგრამის მიზნები

- პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით, ვებ-გვერდზე არსებული შეცდომების გამოსწორება და განთავსებული ინფორმაციის მუდმივი მონიტორინგი. სასურველია რომ პროგრამას ჰყავდეს ამ მიმართულებით პასუხისგებელი პირი, რომელიც აწარმოებს საინფორმაციო პოლიტიკას.

(1.2) დასაქმების პოლიტიკასთან დაკავშირებით

- სასურველია დასაქმების სტრატეგია იყოს განხილული 3 მიმართულებით - სტუდენტების დასაქმება; კურსდამთავრებულთა დასაქმება; თვითდასაქმება.
- სასურველია - სამსექტორიან ეკონომიკაში დასაქმების პოლიტიკის წარმოება. ამ შემთხვევაში იქნებოდა საინტერესო სამივე სექტორთან - ინტეგრირებული კომუნიკაციების შესაძლებლობების ეფექტური გამოყენება - (GR,BR,CSR).

სამოქალაქო საზოგადოება ნახსენებია პროგრამაში მაგრამ არაა კვლევაში გათვალისწინებული.

- სასურველია რომ სეუ-ს ჰქოდეს სტუდენტების დასაქმების და პრაქტიკების სტრატეგია. უნივერსიტეტს გააჩნა ამისთვის საკმაოდ დიდი და არარეალიზებული პოტენციალი და ამავე დროს პოზიტიური გამოცდილება (35% გადის პრაქტიკას უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურასი), რაც არის განვითარების შესაძლებლობა.

(2.2) პროგრამის სტრუქტურა

- სასურველია რომ გარდა სამეცნიერო და საგანმანათლებლო კომპონენტებისა პროგრამა ითვალისწინებდეს სტუდენტების ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის ასპექტებს, მათ ჩართულობას სპორტულ და ჰუმანიტარულ აქციებში. იქნება პოზიტიური თუ განვითარდება საქველმოქმედო და სამოხალისო კულტურა (ეს საკითხი დაფიქსირდა დამსაქმებლებთან შეხვედრის დროს).

- სასურველია, რომ დადებული საერთაშორისო მემორანდუმების მონიტორინგის სისტემა იყოს ელექტრონული სახით წარმოდგენილი და აფიქსირებდეს ამა თუ იმ ხელშეკრულების შესრულების ხარისხს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პარამეტრების მიხედვით. ამ შემთხვევაში კარგად გამოჩნდებოდა პროგრამის ჩართულობის ხარისხი უნივერსიტეტის საერთაშორისო პოლიტიკაში.
- არსებული გამოცდილება საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, რომელიც არის წარმოდგენილი, მაგალითად ევროპის სექსოლოგთა ასოციაციასთან თანამშრომლობით, იქნება უკეთესი თუ სათანადოთ იქნება წარმოდგენილი სარეკლამო მასალით - ბუკლეტებით, სტენდებით, ვიდეორგოლებით და ა.შ.

2.3 სასწავლო კომპონენტი

- **ერგონიმიკა.** გამომდინარე იქედან, რომ უნივერსიტეტს გააჩნია უპრეცენდენტო <u>ერგონომიული პოლიტიკა</u> (!), უნივერისტეტი წარმოადგენს „ერგონომიული ავეჯის და ტექნიკის“ მუზეუმს, მნიშვნელოვანია, რომ გაძლიერდეს ერგონომიკის საგანი და ექსპერიმენტული კვლევების მიმართულება.
- მნიშვნელოვანია რომ პროგრამაში არსებობს კრიზისების ფსიქოლოგიის საგანი, მაგრამ სასურველია რომ კლინიკური ფსიქოლოგიის ბლოკს დაემატოს უშუალოდ **სუიციდოლოგიის** საგანიც. ეს განპირობებულია რეალური მოთხოვნილებით (სუიციდის რაოდენობირივი და ხარისხობრივი ზრდით) და იმით, რომ არსებულ პროგრამაში ჩართულია სუიციდის პრევენციის სფეროში ეფეტურად მოღვაწე სეუ-ს ერთ-ერთი მოწვეული პროფესორი.
- სასურველია განათლების ფსიქოლოგიის და განვითარების კონცენტრაციას დაემატოს:
  - **კარიერის განვითრების ინოვაციუირი მეთოდები**
  - **სწავლა/სწავლების ინოვაციური მეთოდები**

მნიშვნელოვანია რომ გაძლიერდეს პროფესიული კომუნიკაციის უნარჩვევები და განსაკუთრებით (!) საკომუნიკაციო ენის (ლექსიკის, ტერმინოლოგიის) კულტურა. ამ თვალსაზრისით, სტუდენტების პრაქტიკებზე და სტაჟირებებზე გაგზავნამდე აუცილებელია მათი დამატებითი დატრენინგება კონკრეტული დამსაქმებლის სპეციფიკიდან და ინტერესებიდან გამომდინარე. ასევე მნიშვნელოვანია პოტენციური პრაქტიკანტების და ინტერნების ფსიქოლოგიურ მომზადებაზე მეტი ზრუნვა. ამ საკითხის მოგვარება შესაძლებელია დამსაქმებლებთან უფრო აქტიური და რეგულარული მუშობის მეშვეობით. პრაქტიკანტთა 24% უკმაყოფილოა პრაქტიკებით და ეს დამატებით შესასწავლი საკითხია.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება 2.4

- პროგრამამ ხელი შეიძლება შეუწყოს სტუდენტებში <u>სპეციალობების; სპეციალიზაციების; ვიწრო სპეციალიზაციების</u> გამოკვეთას და მათთან იდენტიფიცირებას. სასურველია ასევე რომ „კონცენტრაციის ცნება“ იყოს გასაგებად დაკავშირებული ამ ჯაჭვთან.
- სასურველია სტუდენტების პროფესიული დიაგნოსტიკა (!).
- გამომდინარე იქედან, რომ მე-8 სემესტრი მეტად რთულია სტუდენტებისთვის პრაქტიკების და საკვალიფიკაციო ნაშრომის ერთდროულად შესრულება, ეს შეიძლება იწვევდეს მათ გადაღლილობას, კონცენტრაციის შესუსტებას და ხარისხის ვარდნას. სასურველია რომ პრაქტიკები ჩაუტარდეთ მე-7 სემესტრში.
- მე-7 სემესტრის დასაწყისში სასურველია შეიმქნას სტუდენტის ინდივიდუალური გეგმა - პროსპექტუსი, რომელიც გაითვალისწინებს ამ ორი უმნიშვნელოვანესი პროცესის (პრაქტიკების და საკვალიფიკაციო ნაშრომის) ჰარმონიზაციას და სტუდენტის მაქსიმალურ პროფესიულ თვითრეალიზაციას.
- სასურველია პრაქტიკების დივერსიფიკაცია და პარტნიორების ქსელის პერმანენტული გაფართოება რომელიც დაეყრდნობა სტუდენტის კარიერის განვითარების სტრატეგიას და ტაქტიკას.
- კარიერის სტრატეგიის დაგეგმარების და პროფესიული თვითგამორკვევის მთავარი ფაზა უნდა წინ უსრებდეს პრაქტიკებს და საკვალიფიკაციო ნაშრომს. ანუ სასურველია, რომ მე-6 სემეტრის მიწურულს მათ ჰკონდეთ კარიერის დაგეგმარების სტრატეგიული დოკუმენტი. ამისთვის სტუდენტს სჭირდება კვალიფიცირებული დახმარება.
- ამ შემთხვევაში მოხდება პრაქტიკების გაცნობიერებული დაგეგმარება და პოზიტიურ შედეგზე ორიენტირებული რეალიზაცია. ეს ხელს უწყობს პიროვნების თვითშემეცნების, პროფესიული იდენტობის და სტრატეგიული აზროვნების უნარჩვევების განვითარებას. სასურველია, რომ სტუდენტები ღებულობდნენ პრაქტიკების ადგილის შერჩევაში უფრო აქტიურ მონაწილეობას და თვითონაც მოიზიდონ ახალი პარტნიორები.

- არის სასურველი, რომ უნივერსიტეტში არსებობდეს არჩევითი საგანი - „კარიერის დაგეგმარების ინოვაციური მეთოდები“ (1 კურსის პირველივე სემესტრიდან (!)).

2.4 სამეცნიერო კვლევების სტიმულირება და სტუდენტთა ჩართულობის ზრდა

- სასურველია, რომ მოხდეს სტუდენტის როლთა სისტემაში გარდა „სტუდენტი-მსმენელისა“ განვითარდეს „სტუდენტ-მკვლევარის“ როლიც.
- სასურველია სამეცნირო სტრატეგიის განვითარების დოკუმენტის არსებობა
- სასურველია რომ არსებობდეს სარეკლამო მასალა უკვე ჩატარებულ კვლევებზე და მიმდინარე კვლევებზე.
- სასურველია, საკვალიფიკაციო ნაშრომის შერჩევის პროცესი ეფუძნებიდეს სტუდენტის კარიერის სტრატეგიას და არ ხდებოდეს მხოლოდ პედაგოგის მიერ წარმოდგენილი ნუსხიდან არჩევა.
- სასურველია რომ შემდეგ პროგრამაში და თვითშეფასების დოკუმენტში იყოს უფრო ფართედ ასახული საკვალიფიკაციო ნაშრომების კომპონენტის მნიშვნელობა და მათი შეფასება.
- სასურველია რომ შეიქმნას ნაშრომების ერთიანი ელექტრონული ბაზა. ეს გაზრდის ტრანსპარენტულობას და ხარისხს. გარდა ამისა, მომავალი ბაკალავრები გაეცნობიან ამ ნაშრომებს და მოახდენენ მათ ბაზაზე ახალი გენერაციის პროდუქციის შექმნას და არა იგივეს განმეორებას.
- საკვალიფიკაციო ნაშრომები წარმოადგენენ უნივერსიტეტის ინტელექტუალური კაპიტალის მნიშვნელოვან ნაწილს ამიტომ მის მიმართ უნდა არსებობდეს განსაკუთრებული დამოკიდებულება. ყოველივე ნაშრომს უნდა ჰქონდეს განკუთვნილი განსაკუთრებული ადგილი საბიბლიოთეკო სივრცეში.
- ტრანსფერული ცოდნის და უნარების განვითარებისათვის სასურველია რომ შეიქმნას დამოუკიდებელი სტრატეგიული დოკუმენტი და მოქმედების პროგრამა. ამ შემთხვევაში იქნება მიღწეული ბაკალავრების კოგნიტური შესაძლებლობების ზრდა. ტრანსფერული უნარების განვითარების პროგრამა ასევე ხელს შეუწყობს სტუდენტების დასაქმების პოლიტიკას ახალ აქამდე პროგრამით აუთვისებელ სივრცეებში.
- სეუ-ს კონფერენციაზე და სამეცნიერო გამოცემაში 2016 – 2017-2018 წლების ანლიზიდან ჩანს, რომ მიუხედავდ იმისა, რომ არის დაფიქსირებული პროგრამის წარმომადგენლების მონაწილეობის მცირე აქტივიზაცია, ფსიქოლოგია მეტად სუსტად არის წარმოდგენილი სხვა პროგრამებთან მიამრთებაში. ასევე სასურველია, რომ პარალელურ რეჟიმში ტარდებოდეს ახალგაზრდული სამეცნიერო კონფერენციები, სადაც იქნება წარმოდგენილი ბაკალავრთა ნაშრომები.
- „სწავლაზე არაორიენტირებული სტუდენტების“ რაოდენობის შემცირებისთვის სასარგებლო იქნებოდა მათი განათლების მიმართ განწყობის ტრანსფორმაცია. ამ შესაძლებლობას იძლევა საქართელოში შემუშვებული სიმ-მეთოდი (სწავლა-სწავლების ინტეგრირებული მეტაკოგნიტური მეთოდი). მეთოდი აძლიერებს სტუდენტებში თვითშემეცნების და თვითშებასების უნარებს და ხელს უწყობს მათი რეალური ინტერესების დადგენას და სასწავლო პროგრამასთან ადაპტაციას. იცვლება

დამოკიდებულება შუალედური და სემესტრული გამოცდების მიმართ. ხდება პროცესის ორიენტაცია <u>გაცნობიერებულ განათლებაზე.</u>

2.5 „სწავლაზე არაორიენტირებული სტუდენტების“ რაოდენობის შემცირებისთვის სასარგებლო იქნებოდა მათი განათლების მიმართ განწყობის ტრანსფორმაცია. ამ შესაძლებლობას იძლევა საქართველოში შემუშვებული სიმ-მეთოდი (სწავლა-სწავლების ინტეგრირებული მეტაკოგნიტური მეთოდი).

ეკონომიკური პოლიტიკის ბლოკი (4.4)

- სასურველია რომ პროგრამაში იყოს წარმოდგენილი პროგრამის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის სტრატეგია. პროგრამა იძლევა საკამაოდ სოლიდურ წმინდა მოგებას და უნდა განიხილებოდეს, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის სუბიექტი.
- თვითშეფასების დოკუმენტში დაფიქსირებულია ამ პროგრამაზე მსურველთა რაოდენობის კლება, რაც მოითხოვს დამატებით ყურადღებას და მიზეზების შესწავლას. ამ მიმართულებით სასურველია რომ ჩატარდეს დამატებითი კვლევა. ამაზე არის დამოკიდებული პროგრამის ეკონომიკური სიმდგრადე.
- **გადამხდელებთან** ურთიერთობის სტრატეგიის შექმნა. სასურველია, რომ ეს მნიშვნელოვანი კატეგორია მომავალ კვლევებში და პროგრამაშიც იყოს დაფიქსირებული როგორც ეკონომიკური აგენტების ქვეკატეგორია (გვერდი 32).
- სასურველია გაირკვეს **„პროგრამის განვითარების ბიუჯეტის“** შესახებ ინფორმაცია. და იმ შემთხვევაში თუ ის არ არსებობს, ამოღებული იყოს ეს ფრაზა თვითშეფასების დოკუმენტიდან.
- სასურველია ბიუჯეტის გაზრდა „სამეცნიერო კვლევების“ და „ადამიანური რესურსების განვითარების“ სტატიებში.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის განვითარებას ხელს უწყობს შემდეგი ფაქტორები:

- გამოცდების ჩაბარების და შეფასების დისტანციური ელექტრონული სისტემა იძ Ꝑევა შესაძლებლობას პროცესების წარმოართვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.
- განათელბის პროცესის უზრუნველყოფილია უახლოესი ტექნოლოგიებით - სმარტდაფებით და სხვა ტიპის ელექტრონული ინოვაციებით.
- ერგონომიული ავეჯი - პროფესორების და სტუდენტების ჯანმრთელობაზე ზრუნვის კარგი მაგალითია. ეს პოლიტიკა ქმნის სტუდენტების და პროფესორების კონცენტრაციის და შრომის ნაყოფიერების მაღალ ხარისხს.

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტაციებს შორის პერიოდში დაფიქსირებულია პროგრამის პოზიტიური ტრანსფორმაცია და ინოვაციური საგანმანათლებლო სერვისებით გამდიდრება. პირველი აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაცია/რჩევების შესრულებულია.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

- **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
  პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის **ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა** მიზნად ისახავს: 1. **მისცეს სტუდენტს ფსიქოლოგიის მეცნიერებისა და მისი დარგების შესახებ თეორიული ცოდნა.** შეასწავლოს ფსიქოლოგია როგორც მეცნიერება, გააცნოს ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგი, ამ დარგების ცნებითი აპარატი, თეორიები, მეთოდები, თანამედროვე მეცნიერებისთვის აქტუალურ კონტექსტში. 2. **ჩამოუყალიბოს ცოდნა პიროვნების, მისი განვითარების, შემეცნების და სოციალიზაციის პროცესის შესახებ** - მისცეს სტუდენტს რელევანტურ მეცნიერულ ბაზისზე დაფუძნებული ცოდნა ადამიანში მიმდინარე პროცესების, ადამიანის, საზოგადოებისა და გარემოს ურთიერთქმედებების პროცესებზე. 3. **განუვითაროს მოვლენების ფსიქოლოგიური ხედვა,** პროცესების ანალიზის, შეფასების, ინტერპრეტაციისა და კრიტიკულად გააზრების უნარი. 4. **აღჭურვოს ფსიქოლოგიური კვლევისა და ექსპერიმენტის შესახებ თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით.** სტუდენტები სწავლობენ კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდოლოგიას, ეუფლებიან ფსიქოლოგიური

ექსპერიმენტის ტექნიკას, განივითარებენ მონაცემთა შეგროვების, სტატისტიკური დამუშავების და წარმოდგენის უნარებს.

5. **გააცნოს ფსიქოლოგიური ქვედარგების სპეციფიკა და ფსიქოლოგიის პრაქტიკული ღირებულება** - დარგში მომუშავე პროფესიონალების პრაქტიკული გამოცდილება სამუშაო გარემოს ფსიქოლოგია, ფსიქოლოგებისა თუ მულტიდისციპლინარულ გუნდში მუშაობის თავისებურებები, ბენეფიციარებთან ურთიერთობის ასპექტები, პროფესიული ეთიკის დამკვიდრებისა და დაცვის მნიშვნელობა.

პროგრამა შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებს. პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. უნივერსიტეტის საიტზე კარგად არის წარმოდგენილი უნივერსიტეტის მისია. მიზნები. ამოცანები და აქტიობების სტრუქტურა.
პროგრამა კარგად ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული.
პროგრამა შედგენილია ფსიქოლოგიის დარგში არსებული თანამედროვე გამოწვევების და საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

პროგრამა მიმართულია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლების შედეგების გამომუშავებაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კურუკულუმი, სილაბისები და გასაუბრებები სამუშაო ვიზიტის დროს სტუდენტებთან, აფილირებულ და მოწვეულ პროფესორებთან და დამსაქმებლებთან მიღებული ინფორმაცია, წარმოადგენენ იმის მტკიცებულებას, რომ პროგრამა უზრუნველყოფს წარმოდგენილ მიზანს და ამოცანებს.
პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შედგენილ საპროგრამო დოკუმენტში. ნათლად არის ჩამოყალიბებული საპროგრამო დოკუმნეტში, რეალისტური და მიღწევადია.

ეკონომიკური თვალსაზრისით პროგრამა გასულია წმინდა მოგებაზე და მდგრადია.

მიუხედავად ამისა, (იხილეთ პროგრამის აღწერა) აუცილებელია საიტზე მათი კორექცია და ახალ დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანა. საიტზე არაა წარმოდგენილი პროგრამის მე-4 მიმართულება - განათლების და განვითარების ფსიქოლოგია.
ამავე დროს სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სრულყოფილად ოთხივე მიმართულება. სწავლის შედეგები კარგადაა წარმოდგენილი შესაბამის გვერდზე - საჭიროა საიტის ამ გვერდის განახლება. ასევე პროგრამა არის წარმოდგენილი ვებ-გვერდზე როგორც <u>სამედიცინო ორიენტაციის,</u> მაშინ, როდესაც უფრო ფართე სპექტრს ეხება რეალობაში. იხილეთ საიტზე „პროგრამის ორიენტაცია“ . ინდიკატორებში წარმაოდგენილია საიტის შესაბამისი გვერდები.

საბაკალავრო პროგრამა, უზრუნველყოფს სტუდენტების ზოგად განათლებას და ამავე დროს მათ დაახლოებას სპეციალობებთან და სპეციალიზაციებთან, ეს კი ხელს უწყობს მათი პროფესიული იდენტობის დონის და შრომის ხარისხის ზრდას.
პროგრამა თავსებადია უნივერსიტეტში არსებულ სხვა პროგრამებთან და იძლევა საშუალებას სტუდენტების პროფესიული და ინტერდისციპლინური განვითარების შესაძლებლობას.
იმ სტუდენტებს ვისაც სურთ განათლების გაგრძელება მაგისტრატურაში აქვთ შესაძლებლობა:

- სოცილაური ფსიქოლოგიის მიმართულებით
- განათლების ადმინისტრირება
- ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით
- საბანკო საქმე
- სამართლის პროგრამა

ამავე დროს სტუდენტებს რომლებიც სწავლობენ კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით, აქვთ სურვლი, მაგრამ არ აქვთ შესაძლებლობა გააგრძელონ სწავლა ამავე უნივერსიტეტში ამ პროფილით. ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტი აპირებს უახლოვეს მომავალში მათ დაკმაყოფილებას სამაგისტრო პროგრამით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ის, ფაკულტეტის/სკოლის/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის და/ან მისი სტრუქტურული ერთეულის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- უნივერსიტეტის საიტი
- „ფსიქოლოგიის საბაკალავრო პორგრამა“ საპროგრამო დოკუმენტი
- პროგრამის მიზნები
- სილაბუსების მონაცემთა ბაზა
- შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა (მომზადებულია ”ლუმენის”-ის მიერ)
- კურსდამთავრებულთა კვლევები
- უნივერსიტეტში დასაქმებულებთან კვლევები
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის დოკუმენტი
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- ბაკალავრთა საკვალიფიკაციო ნაშრომები
- ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია (არსებობის შემთხვევაში);

- https://www.seu.edu.ge.
- https://www.seu.edu.ge/ka/1378/
- https://www.seu.edu.ge/ka/1380/
- https://www.seu.edu.ge/ka/1378/

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით, ვებ-გვერდზე არსებული შეცდომების გამოსწორება და განთავსებული ინფორმაციის მუდმივი მონიტორინგი. სასურველია რომ პროგრამას ჰყავდეს ამ მიმართულებით პასუხისგებელი პირი, რომელიც აწარმოებს საინფორმაციო პოლიტიკას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მიზნებს, შემუშავებულია კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით, სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტურია და შეესაბამება აკრედიტაიის არსებულ სტანდარტებს. ამას ადასტურებს თვითშეფასების დოკუმენტი და ჩვენს მიერ ჩატარებული ინტერვიუირება.

პროგრამის ხელმძღვანლის მიერ იყო წარმოდგენილი ელექტრონული და ბეჭდვითი ინფორმაცია სასწავლო პროცესის და მისი შედეგების თაობაზე.

ჩევნ მივიღეთ ამომწურავი ინფორმაცია ამის თაობაზე სტუდენტებისგან და დამსაქმებლებისაგან. ისინი ინტერვიუირების დროს და ასევე (უფრო ფართე წრე) ამახვილებენ ყურადღებას იმაზე, რომ სტუდენტები იოლად ახდენენ პროფესიული ადაპტაციის პროცესს მათ ორგანიზაციებში, ფლობენ საჭირო უნარებს და ცოდნას, მუდმივად ზრუნავენ საკუთარი კვალიფიკაციის და კომპეტენციების ზრდაზე. კომუნიკაცია მათთან იყო ღია და ტრანსპარენტული.

ამავე დროს, დამსაქმებლებთან კონტაქტის დროს დაფიქსირდა რამოდენიმე პრობლემა, რომელიც მოითხოვს დამატებით ყურადღებას:

- ტერმინოლოგიის პრობლემა. სტუდენტები არ არიან საკმარისად მომზადებულები შშმ პირებთან მუშობისთვის, რაც გამოიხატება იმაში, რომ ცალკეულ შემთხვევებში უჭირთ ბენეფიციარებთან კომუნიკაცია.
- პრაქტიკანტები არ არიან ადაპტირებული რთულ კლიენტებთან ურთიერთობებისთვისმ მალე იღლებიან და დაახლოებით 20% (დამსაქმებლის ინფორმაციით) აღწევს პოზიტიურ შედეგებს.
- ასევე პრაქტიკანტებში არაა განვითარებული მოხალისის კულტურა და მათი მონაწილეობა პროცესში ხშირად ატარებს სპონტანურ ხასიათს.
- დამსაქმებლები ასევე აღნიშნავდნენ იმ ფაქტს რომ სტუდენტები, რომლებსაც აქვთ კომუნიკაციის სუსტი უნარჩვევები არ ფლობენ საკმარის დონეზე თვითგანათლების უნარჩევვებს და ცდილობენ გადაამისამართონ პრობლემა უნივერსიტეტის მიმართულებით.
- პრაქტიკანტების შრომის არასაკმარისი ეფექტურობა შეიძლება დაუკავშიროთ მარკეტინგულ დეპრივაციას. ანუ, შესაძლებელია, მათ აქვთ შეზღუდული პრაქტიკების ადგილის არჩევის თავისუფლება და შესაბამისად, ადგილი უნდა ჰქონდეს პროფორიენტაციული ტიპის ინტერპერსონალურ კონფლიქტებს (კონლფიქტი სასურველ და რეალურ როლს პროფესიულ შორის). ანუ პრაქტიკანტების გარკვეული ნაწილი ხვდება არა იქ სადაც მათ შინაგანად სურთ რომ მოხვდნენ. გასარკვევია, რამდენად აცნობიერებენ ისინი პრაქტიკის სწორად არჩევის აუცილებლობას. ჩტარაებული გამოკვლევის შედეგად ჩანს 24% უკმაყოფილება პრაქტიკებით.

ზემოთ წარმოდეგნილი აღმოჩენები წარმოადგენენ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ანალიზის შედეგს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროგრამა არ ფუნქციონირებს ამ

მიმართულებით, არამედ ნიშნავს იმას რომ საჭიროა დამატებითი ძალისხმევა რათა მოხდეს ამ პროცესის ეფექტურობის ზრდა.

პროგრამაში კარგადაა გაწერილი თუ სად და რა პოზიციებზე არის შესაძლებელი რომ დასაქმდენენ კურსდამთავრებულები. მაგრამ ამავე დროს არსებობს უფრო ფართე შესაძლებლობები, რომელიც არაა ასახული იმ ფირმის ანგარიშში, რომელიც არის წარმოდეგნილი.

საერთოდ არაა წარმოდგენილი სტუდენტთა თვითდასაქმების მიმართულებით არსებული შესაძლებლობები, რომელიც გულისხმობს მათ მიერ (უფროს კოლეგებთან ერთად ან დამოუკიდებლად) ახალი ორგანიზაციების (კერძო თუ სამოქალაქო ორგანიზაციების) ჩამოყალიბების შესაძლებლობას. რა თქმა უნდა ამას სჭირდება დამატებითი უნარჩვევები.

უნივერსიტეტის ინტერესებშია, რომ ეს უნარჩვევევბი სტუდენტებმა შეიძინონ. ამავე დროს უნდა ავღნიშნოთ რომ ეს კულტურა ზოგადად არარის საქართველოში წარმოდგენილი და არის მნიშვნელოვანი, რომ მომავალში ჩაიდოს აკრედიტაციების სტანდარტში.

კვლევა ითვალისწინებს იმას, თუ სად შეიძლება მოხდეს დასაქმება და არ ითვალისწინებს იმას თუ სად აქვთ რეალური სურვილი რომ დასაქმდნენ კურსდამთავერებულები, ეს პრობლემა დაკავშირებულია იმასთან, რომ მიუხედავად სტუდენტზე ორიენტირებული განათლების პროცესის დეკლარირებისა, არასაკმარისად ხდება სტუდენტების ინდივიდუალური ინტერესების და რეალური შესაძლებლობების კვლევა, რასაც მივყევართ პროფორიენტაციული ტიპის ინტრაპერსონალური კონფლიქტისკენ და გამომდინარე აქედან, არსებოს დიდი სივრცე შესაძლებლობებისა რომ პროგრამა გახდეს უფრო მეტად ეფექტური. რეალური სურათი გვაჩვენებს, რომ სასურველია ამ მიმართულებით კომპლექსური კვლევების ჩატარება და ამ კვლევებზე დაყრდნობით დასაქმების პოლიტიკის მოდიფიკაცია.

ასეთი ტიპის ცვლილებები შექმნიდა დამატებით შესაძლებლობას, რომ თვითშეფასების დოკუმენტში მოცემული სტატისტიკური მონაცემები, სახელდობრ „კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმებასთან“ დაკავშირებით გამოიყურებოდეს უფრო დამაჯერებლად. კურსდამთავრებულებთან ჩატარებული კვლევა გვაჩვენებს 53%, რაც მეტად მაღალი მაჩვენებელია. ასევე მოყვანილი ნუსხა იმ ორგანიზაციების, სადაც არიან დასაქმებულერბი სეუს კურსდამთავრებულები. ამ მაჩვენებელთანმიმართებაში, არსებობს ფსიქოლოგიური პროგრამისთვის გარკვეული დამატებითი შესაზლებლობები რათა გააუმჯობესონ მონაცემები.

დამსაქმებლები გამოხატავენ ზოგადად კმაყოფილებას და აღნიშნავენ განსაკუთრებით ამ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის სურვილს. ისინი ხაზს უსვავენ რომ ეს უნივერსიტეტი მათთის მნიშვნელოვანი პარტნიორია და ასახელებენ მიზეზებს თუ რითია სხვა უნივერსიტეტებთან უფრო საინტერესო ეს თანამშრომლობა. ეს არაა გასაკვირი იმიტომ რომ უნივერსიტეტი ხარჯავს ამ მიმართულებით სამაოდ დიდ თანხებს. ამავე დროს, საჭიროება მოითხოვს რომ მათგანაც იყოს უფრო მეტი მოთხოვნა (უნივერსიტეტის მხრიდან) არსებული პროცესის ეფექტურობის ზრდასთან დაკავშირებით.

სასურველია, რომ კურსდამთავრებულ ფსიქოლოგთა დასაქმების შესახებ იყოს წარმოდეგნილი კვლევა, რომელიც ასახავს მათ მდგომარეობას და გვაჩვენებს თუ ვინ და სადაა დასაქმებული. არა მხოლოდ სტატისტიკური, არამე ხარისხობრივად უფრო საინტერესო.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტორს, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს კურსდამთავრებულებზე და ცდილობს ხელი შეუწყოს მათი კარიერის განვითარებას. სტუდენტები „პატრიოტულად“ არიან განწყობილი სეუს მიმართ. ეს გამოიხატება იმაში, რომ სტუდენტების ინტერვიუირების დროს, მთავარ მოტივად, თუ რატომ ჩააბარეს ამ და არა სხვა უნივერსიტეტში, სტუდენტები ასახელებდნენ იმ ნათესავების და მეგობრების რეკომენდაციას, რომლებიც სწავლობდნენ ან დღესაც სწავლობენ ამ უნივერსიტეტში.
დოკუმენტაციაში არაა საკმარისი ინფორმაცია იმის თაობაზე თუ რა ხდება სტატუსშეჩერებულ სტუდენტებთან მუშაობის მიმართებაში.
ასევე არაა ინფორმაცია იმის თაობაზე თუ რა ხდება იმ სტუდენტებში ვინც სწავლის პროცესში (!) არიან დასაქმებულები და როგორ ზეგავლენას ახდენს მათი დასაქმება მათი აკადემიურ მოსწრებაზე და პროფესიულ განვითარებაზე.
დოკუმენტაციაში არაა წარმოადგენილი ინფორმაცია იმის თაობაზე თუ რა პოლიტიკა აქვს პროგრამას მობილობის პროცესის რეგულირებაზე და როგორ ცდილობს პროგრამა შეამციროს სხვა უნივერსიტეტებში გადასვლის პროცესი.

კომისიამ გამოითხოვა სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომები, რათა მოეხდინა შეფასება მათი მიერ შექმნილი ინტელექტუალური პროდუქციის. ნაშრომების ანალიზმა გვაჩვენა, რომ სტუდენტები კარგად ფლობენ თეორიულ ცოდნას. ამავე დროს ყველა წარმოადგენილი ნაშრომი ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგზე და წარმოადგენს ღირებულ მასალას. ყოველი ნაშრომი ორიენტირებულია საზოგადოების ინტერესებზე და არსებული პრობლემების მოგვარებაზე. კომისიის რჩევებში არის წარმოადგენილი თუ როგორ შეიძლება ამ ნაშრომების უფრო ეფექტური გამოყენება საზოაგდოების ინტერესბში.
ჯამში პროგრამა და სხვა არსებული ინფორმაცია კარგად ასახავს, თუ რა წვლილი შეაქვს მას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. ამავე დროს სასურველია, რომ მომზადდეს ამ მიმართულებით ანალიტიკური დოკუმენტი, რომელიც უკეთესად წარმოადგენდა სტუდენტთა და პროფესორთა თანამშრომლობის საზოგადოებაზე ორიენტირებულ ინტერესებს.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი კრიტიკული შენიშვნებისა და ქვემოთ მოყვანილი ბევრი რჩევისა, პროგრამა სრულად პასუხობს აკერდიტაციის სტანდარტებს და მისი მომავალი განვითარება დამოკიდებულია არა მხოლოდ უნივერსიტეტზე, არამედ აკრედიტაციის სტანდარტების მორიგ განახლებაზეც. რჩევების დიდი რაოდენობა არ გამოხატავს პროგრამის სისუსტეს, არამედ გამოხატავს მისი განვითარების შესაძლებლობებს და ექსპერტის სუბიექტურ მოსაზრებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების კვლევა“.
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში

- პროგრამა
- ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დასაქმების სტრატეგია იყოს განხილული 3 მიმართულებით - სტუდენტების დასაქმება; კურსდამთავრებულთა დასაქმება; თვითდასაქმება.
- სასურველია - სამსექტორიან ეკონომიკაში დასაქმების პოლიტიკის წარმოება. ამ შემთხვევაში იქნებოდა საინტერესო სამივე სექტორთან - ინტეგრირებული კომუნიკაციების შესაძლებლობების ეფექტური გამოყენება - (GR,BR,CSR). სამოქალაქო საზოგადოება ნახსენებია პროგრამაში მაგრამ არაა კვლევაში გათვალისწინებული.
- სასურველია რომ სეუ-ს ჰქოდეს სტუდენტების დასაქმების და პრაქტიკების სტრატეგია. უნივერსიტეტს გააჩნა ამისთვის საკმაოდ დიდი და არარეალიზებული პოტენციალი და ამავე დროს პოზიტიური გამოცდილება (35% გადის პრაქტიკას უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურასი), რაც არის განვითარების შესაძლებლობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების (ჩარიცხვა/მიღება) პროცედურები და წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, გამჭვირვალეა, საჯარო და ხელმისაწვდომი. უნივერსიტეტის დეკლარირებული მისია, მიზანი და ამოცანები თავისუფალია პოლიტიკური და იდეოლოგიური კლიშეებისგან და ნათლად აჩვენებს მისი თავისუფლების ხარისხს. უნივერსიტეტი ცდილობს ყველა სტანდარტით გახდეს თვალსაჩინო წარმომადგენელი საერთაშორისო საგანამანათლებლო სისტემის. ეს განაპირობებს სტუდენტთა სიმრავლეს (როგორც აბიტურიენტების, ასევე მობილობით გადმოსულების). სტატისტიკის მიხედვით ის ერთ-ერთი ლიდერია საქართველოს საგანმანათლებლო ბაზარზე. უნივერსიტეტში ინერგება მულტიკულტურალიზმის და შემწყნარებლობის კულტურა და ამის მტკიცებულებაა უნივერისტეტის უშუალო საკონტაქტო სივრცეში სხადასხვა რელიგიური ინსტიტუციების თანაარსებობა. არაქართული ეთნიკური წარმოშობის მოქალაქეები და ასევე უცხოელი სტუდენტები ინტეგრირებულნი არიან ერთიან სისტემაში. საინტერესო იყო ამ თვლასაზრისით ერთ-

ერთი მე-4 კურსის სტუდენტის (ალექსეევას) წარმატებები და მაღალი მომზადების დონე. ასევე შთამბეჭდავი იყო უცხოელი და ადგილობრივი სტუდენტების კომუნიკაცია უნივერსიტეტის ტერიტორიის დათვალიერების პროცესში.

პროგრამა გათვლილია ქართულენოვან სტუდენტენზე.

აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და უფლება მოსილი პირების ბრძანების საფუძველზე.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია, მსურველთა მუდმივ რეჟიმში და სრულყოფილად ინფორმირების მიზნით ხორციელდება ისეთი აქტივობები როგორებიც არის: „ღია კარის დღეები“, ინფორმაციული ბროშურებისა და ფლაერების ფართო ტირაჟით ბეჭდვა და გავრცელება, სხვადასხვა სამოტივაციო-საინფორმაციო სახის შეხვედრები, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, ბროშურები და ა.შ. ამის კარგი დასტურია დღეისთვის საიტზე დადებული ინფომაცია, რომელიც შეეხება აბიტურიენტებთან კომუნიკაციას, და კონკრეტულად სპეციალური ტრენინგების ჩატარებას. https://www.seu.edu.ge/ka/events/94/

საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (კრიტერიუმები და პროცედურები);
- ინფორმაციის საჯაროობა - პროგრამაზე დაშვების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მეთოდები;
- ვებგვერდი;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
- ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული. შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური.
პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.
ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას.

პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები);
მეტად მნიშვნელოვანია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივები და მისი ჩართულობის საერთაშორისო სისტემებში (იხ.ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია).

პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. მათს შორის, ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები შეადგენს 168 კრედიტს (108 - სპეციალობის სავალდებულო, 30 -კონცენტრაციის არჩევითი/სავალდებულო და 30 სპეციალობის არჩევითი კურსები), 68 კრედიტი კი თავისუფალი სავალდებულო, სავალდებულო/არჩევითი და არჩევითი კურსებისთვისაა დათმობილი. პროგრამა მოიცავს კონცეტრაციებს, რომლებიც მოიცავენ 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით.

პროგრამის მონაწილეებს ჰყავთ საერთაშორისო პარტნიორი ევროპის სექსოლოგთა ასოციაციის სახით. ასევე აქტიურად თანამშრომლობს განსაკუთრებით ბალტიის ქვეყნების უნივერსიტეტეტბთან. განსაკუთრებით ეფექტურია გდანსკის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა. პროგრამის ხელმძღვანელი გეგმავს სხვა ქვეყნებთანაც ურთიერთობის განვითარებას. ამ თვალსაზრისით ის აპირებს როგორც უნივერსიტეტის საერთაშორისო და საკმაოდ მდიდარი საპარტნიორო ქსელის გამოყენებას და ასევე ახალი პარტნიორების მოძიებას პროგრამის განვითარების სტრატეგიებიდან გამომდინარე. პროგრამის ხელმძღვანელი ცდილობს მოიზიდოს ასევე უცხოელი ლექტორები. ამ მიზნით მიმდინარეობს კონსულტციები და მზადდება როგორც მათი ჩამობრძანება, ასევე ელექტრონული შესაძლებლობების გამოყენება დისტანციური ლექციების ჩასატარებად. ასევე მიმდინარეობს უცხოელ პარტნიორებთან კონსულტაციები ევროკომისიის ჩარჩოში არსებული დაფინანსებების გამოყენებისათვის. პრორექტორთან შეხვედრის დროს გაირკვა, რომ უნივერსიტეტი სარგებლობს საქართველოს სხვა უნივერსიტეტეტებში მოღვაზე (ქართველი და უცხოელი) ექსპერტების კონსულტაციებით და ასევე ემზადება საერთაშორისო აკრედიტაციისათვის.

პროგრამა და ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი საჯაროა და ხელმისაწვდომი, კარგად შენახული და განიცდის მუდმოვ განახლებას.

პროგრამა განიცდის მუდმივ ტრანსფორმაციას, რომელიც ეყრდნომა სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, შესაძლო დამსაქმებლების და ექსპერტების გამოკითხვებს და სიღრმისეულ სამეცნიერო ანალიზს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, რომ დადებული საერთაშორისო მემორანდუმების მონიტორინგის სისტემა იყოს ელექტრონული სახით წარმოდგენილი და აფიქსირებდეს ამა თუ იმ ხელშეკრულების შესრულების ხარისხს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პარამეტრების მიხედვით. ამ შემთხვევაში კარგად გამოჩნდებოდა პროგრამის ჩართულობის ხარისხი უნივერსიტეტის საერთაშორისო პოლიტიკაში. • არსებული გამოცდილება საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, რომელიც არის წარმოდგენილი, მაგალითად ევროპის სექსოლოგთა ასოციაციასთან თანამშრომლობით, იქნება უკეთესი თუ სათანადოთ იქნება წარმოდგენილი სარეკლამო მასალით - ბუკლეტებით, სტენდებით, ვიდეორგოლებით და ა.შ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს/მიზნებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

თვითშეფასების დოკუმენტის მიმოხილვიდანაც ნათლად ჩანს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კომპონენტების შედეგების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები.

თითოეული საგნის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები მეტ-ნაკლები სიზუსტით აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს.
პროგრამის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო სავალდებულო და დამხარე ლიტერატურა. კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათ ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის ონლინე პორტალზე.

უნივერსიტეტი უზრუნველჰყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე ხელმისაწვდომობას. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში ○ სილაბუსები ○ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების კვლევა ○ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ○ ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია ○ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია რომ გარდა სამეცნიერო და საგანმანათლებლო კომპონენტებისა პროგრამა ითვალისწინებდეს სტუდენტების ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის ასპექტებს, მათ ჩართულობას სპორტულ და ჰუმანიტარულ აქციებში. იქნება პოზიტიური თუ განვითარდება საქველმოქმედო და სამოხალისო კულტურა (ეს საკითხი დაფიქსირდა დამსაქმებლებთან შეხვედრის დროს). • სასურველია სილაბუსებში წარმოდეგნილი ლიტერატურის მონიტორინგი და მუდმივ განახლებაზე ზრუნვა. მაგალითისთვის „სოციალურ-ფსიქოლოგიური გავლენა“ და „გეშტალტთერაპია“ სილაბუსებშილიტერატურის ცვლილებებია საჭირო. • **ერგონომიკა.** გამომდინარე იქედან, რომ უნივერსიტეტს გააჩნია უპრეცენდენტო <u>ერგონომიული პოლიტიკა</u> (!), უნივერისტეტი წარმოადგენს „ერგონომიული ავეჯის და ტექნიკის“ მუზეუმს, მნიშვნელოვანია, რომ გაძლიერდეს ერგონომიკის საგანი და ექსპერიმენტული კვლევების მიმართულება. ეს დააჩქარებდა სასწავლო პროცესის ლაბორატორიით უზრუნველყოფას.

- მნიშვნელოვანია რომ პროგრამაში არსებობს კრიზისების ფსიქოლოგიის საგანი, მაგრამ სასურველია რომ კლინიკური ფსიქოლოგიის ბლოკს დაემატოს უშუალოდ **სუიციდოლოგიის** საგანიც. ეს განპირობებულია რეალური მოთხოვნილებით (სუიციდის რაოდენობირივი და ხარისხობრივი ზრდით) და იმით, რომ არსებულ პროგრამაში ჩართულია სუიციდის პრევენციის სფეროში ეფეტურად მოღვაწე სეუ-ს ერთ-ერთი მოწვეული პროფესორი.
- სასურველია განათლების ფსიქოლოგიის და განვითარების კონცენტრაციას დაემატოს:
  - **კარიერის განვითრების ინოვაციუირი მეთოდები**
  - **სწავლა/სწავლების ინოვაციური მეთოდები**

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია სტუდენტთა პრაქტიკული, თეორიული და სამეცნიერო/კვლევითი უნარების გამომუშავება/განვითარებით მათი კვლევით პროექტებში ჩართვის გზით, საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული და აქცენტირებულია პრაქტიკული უნარების გასავარჯიშებელი პროგრამა, სამუშაო შეხვედრები. სტუდენტს სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე ეძლევა მიღებული ცოდნისა და ათვისებული უნარების პრაქტიკული რეალიზაციის საშუალება.
დადებული მემორანდუმების შესაბამისად სტუდენტები გადიან პრაქტიკებს პარტნიორ ორგანიზაციებში და ახდენენ მიღებული თორიული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკაზე კვალიფიცირებულ ხელმძღვანელთან ერთად.
მნიშვნელოვანია რომ სტუდენტებს ეძელვათ შესაძლებლობა შექმნან ინტერესთა ჯგუფები (მათ შორის ინტერდისციპლინური) და მიიღონ მონაწილეობა სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევების ჩატარებაში.
სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დაესწრონ რეგულარულ კონფერენციებს და საჯარო ლექციებს და მიიღონ ინფორმაცია ახალი სამეცნიერო კვლევების და ინოვაციური მეთოდების შესახებ.
პროგრამა ასევე ითვალისწინებს მათი პროფესიული უნარჩვევების განვითარებას.
ასევე მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური დახმარების სერვისის შექმნაზე ზრუნვა. ეს მისცემთ სტუდენტებს შესაძლებლობას გაზარდონ თვითშემეცნების უნარები და მიიღონ პროფესიული კონსულტაციები რაც ხელს შეუწყობს მათ შრომისუნარიანობას და მოტივაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- მემორანდუმები
- საბაკალავრო ნაშრომების ანალიზი
- სეუ-ს სამეცნიერო კონფერენციის გამოცემები
- ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ მოხდეს სტუდენტის როლთა სისტემაში გარდა „სტუდენტი-მსმენელისა“ განვითარდეს „სტუდენტ-მკვლევარის“ როლიც.

- სასურველია სამეცნირო სტრატეგიის განვითარების დოკუმენტის არსებობა
- სასურველია რომ არსებობდეს სარეკლამო მასალა უკვე ჩატარებულ კვლევებზე და მიმდინარე კვლევებზე.
- სასურველია, საკვალიფიკაციონაშრომის შერჩევის პროცესი ეფუძნებიდეს სტუდენტის კარიერის სტრატეგიას და არ ხდებოდეს მხოლოდ პედაგოგის მიერ წარმოდგენილი ნუსხიდან არჩევა.
- სასურველია რომ შემდეგ პროგრამაში და თვითშეფასების დოკუმენტში იყოს უფრო ფართედ ასახული საკვალიფიკაციო ნაშრომების კომპონენტის მნიშვნელობა და მათი შეფასება.
- სასურველია რომ შეიქმნას ნაშრომების ერთიანი ელექტრონული ბაზა. ეს გაზრდის ტრანსპარენტულობას და ხარისხს. გარდა ამისა, მომავალი ბაკალავრები გაეცნობიან ამ ნაშრომებს და მოახდენენ მათ ბაზაზე ახალი გენერაციის პროდუქციის შექმნას და არა იგივეს განმეორებას.
- საკვალიფიკაციო ნაშრომები წარმოადგენენ უნივერსიტეტის ინტელექტუალური კაპიტალის მნიშვნელოვან ნაწილს ამიტომ მის მიმართ უნდა არსებობდეს განსაკუთრებული დამოკიდებულება. ყოველივე ნაშრომს უნდა ჰქონდეს განკუთვნილი განსაკუთრებული ადგილი საბიბლიოთეკო სივრცეში.
- ტრანსფერული ცოდნის და უნარების განვითარებისათვის სასურველია რომ შეიქმნას დამოუკიდებელი სტრატეგიული დოკუმენტი და მოქმედების პროგრამა. ამ შემთხვევაში იქნება მიღწეული ბაკალავრების კოგნიტური შესაძლებლობების ზრდა. ტრანსფერული უნარების განვითარების პროგრამა ასევე ხელს შეუწყობს სტუდენტების დასაქმების პოლიტიკას ახალ აქამდე პროგრამით აუთვისებელ სივრცეებში.
- სეუ-ს კონფერენციაზე და სამეცნიერო გამოცემაში 2016 – 2017-2018 წლების ანლიზიდან ჩანს, რომ მიუხედავდ იმისა, რომ არის დაფიქსირებული პროგრამის წარმომადგენლების მონაწილეობის მცირე აქტივიზაცია, ფსიქოლოგია მეტად სუსტად არის წარმოდგენილი სხვა პროგრამებთან მიამრთებაში. ასევე სასურველია, რომ პარალელურ რეჟიმში ტარდებოდეს ახალგაზრდული სამეცნიერო კონფერენციები, სადაც იქნება წარმოდგენილი ბაკალავრთა ნაშრომები.
- „სწავლაზე არაორიენტირებული სტუდენტების“ რაოდენობის შემცირებისთვის სასარგებლო იქნებოდა მათი განათლების მიმართ განწყობის ტრანსფორმაცია. ამ შესაძლებლობას იძლევა საქართელოში შემუშვებული სიმ-მეთოდი (სწავლა-სწავლების ინტეგრირებული მეტაკოგნიტური მეთოდი). მეთოდი აძლიერებს სტუდენტებში თვითშემეცნების და თვითშებასების უნარებს და ხელს უწყობს მათი რეალური ინტერესების დადგენას და სასწავლო პროგრამასთან ადაპტაციას. იცვლება დამოკიდებულება შუალედური და სემესტრული გამოცდების მიმართ. ხდება პროცესის ორიენტაცია <u>გაცნობიერებულ განათლებაზე,</u>

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
პროგრამა ხორციელდება <u>სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით.</u> სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** უნივერსიტეტს გააჩნია კარგად მომზადებული ტრენინგების კურსი - „სწავლება-სწავლის მეთოდები და მათი ეფექტურობის შეფასება“ - განსაკუთრებით ეს კითხვები შეიძლება ეხებოდეს “არჩევით კონცენტრაციას“ თუ „კონცენტრაციის არჩევას“ (ეს ტერემინი ორნაირად არის მოხსენიებული დოკუმენტაციაში). ქვემოთ წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტი - **„კონცენტრაციის არჩევის ფორმა“** – არჩეული კონცენტრაცია * • ☐ კლინიკური ფსიქოლოგია • ☐ სოციალური ფსიქოლოგია • ☐ ფსიქოტექნიკა (შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია)

აქ გაურკვეველია, რატომ არაა წარმოდგენილი მე-4 მიმართულება (განათლების და განვითრების ფსიქოლოგია (ანუ თქვენი ლექსიკით ეს „კონცენტრაცია“)? და ასევე ისმის კითხვა რატომაა გამოყენებული ტერმინი ფსიქოტექნიკა? გასაგებია, რომ ამას აქვს გარკვეული ისტორიული საფუძვლები (წინა საუკუნის 30-ი წლები), დაკავშირებულია დ. უზნაძის სახელთანაც, მაგრამ რამდენად ეს ტერმინი შეიძლება იყოს პრაქტიკული დღევანდელი დღეისათვის? მეტად მნიშვნელოვანია რომ მოხდეს გადაწყვეტა - შრომის და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიკუთვნელობასთან დაკავშირებით - ესაა ფსიქოტექნიკა, როგორც თქვენ გულისხმობთ თუ ესაა გამოყენებითი ფსიქოლოგიის თუ ესაა ეკონომიკური ფსიქოლოგიის ქვესისტემა. პროგრამაში წარმოდგენილი მეთოდების და ტექნიკების ფართე ჩამონათვალი ქმნის შესაძლებლობას პროფესორთა აკადემიური თავისუფლების და სტუდენტების კონკრეტული ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო მასალის ადაპტაიის და პოზიტიურ შედეგზე ორიენტაციის. მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია შშმ პირებზე, მაგალითად უსინათლოებზე. ასევე პროგრამაში არის ჩართული 6 სტუდენტი რომელიც იხდის სასჯელს. ეს ნიშნავს რომ პროგრამა ახერხებს მათ მომსახურეობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სილაბუსები ○ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ○ ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია ○ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში ○ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ○ სწავლება-სწავლის მეთოდები და მათი ეფექტურობის შეფასება
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია რომ იყოს უკეთესად დანახული განათლების მიდგომების/კონცეპციების, მეთოდების და ტექნიკების სისტემა, მათი ურთიერთკავშირები და ურთიერთდამოკიდებულებები. ასევე სტუდენტზე ორიენტირებული განათლების კონცეპციის ადგილი ამ მიდგომების და მეთოდების სისტემაში. • პროგრამამ ხელი შეიძლება შეუწყოს სტუდენტებში <u>სპეციალობების; სპეციალიზაციების; ვიწრო სპეციალიზაციების</u> გამოკვეთას და მათთან

იდენტიფიცირებას. სასურველია ასევე რომ „კონცენტრაციის ცნება“ იყოს გასაგებად დაკავშირებული ამ ჯაჭვთან. • სასურველია სტუდენტების პროფესიული დიაგნოსტიკა (!). • გამომდინარე იქედან, რომ მე-8 სემესტრი მეტად რთულია სტუდენტებისთვის პრაქტიკების და საკვალიფიკაციო ნაშრომის ერთდროულად შესრულება, ეს შეიძლება იწვევდეს მათ გადაღლილობას, კონცენტრაციის შესუსტებას და ხარისხის ვარდნას. სასურველია რომ პრაქტიკები ჩაუტარდეთ მე-7 სემესტრში. • მე-7 სემესტრის დასაწყისში სასურველია შეიმქნას სტუდენტის ინდივიდუალური გეგმა - პროსპექტუსი, რომელიც გაითვალისწინებს ამ ორი უმნიშვნელოვანესი პროცესის (პრაქტიკების და საკვალიფიკაციო ნაშრომის) ჰარმონიზაციას და სტუდენტის მაქსიმალურ პროფესიულ თვითრეალიზაციას. • სასურველია პრაქტიკების დივერსიფიკაცია და პარტნიორების ქსელის პერმანენტული გაფართოება რომელიც დაეყრდნობა სტუდენტის კარიერის განვითარების სტრატეგიას და ტაქტიკას. • კარიერის სტრატეგიის დაგეგმარების და პროფესიული თვითგამორკვევის მთავარი ფაზა უნდა წინ უსრებდეს პრაქტიკებს და საკვალიფიკაციო ნაშრომს. ანუ სასურველია, რომ მე-6 სემეტრის მიწურულს მათ ჰკონდეთ კარიერის დაგეგმარების სტრატეგიული დოკუმენტი. ამისთვის სტუდენტს სჭირდება კვალიფიცირებული დახმარება. • ამ შემთხვევაში მოხდება პრაქტიკების გაცნობიერებული დაგეგმარება და პოზიტიურ შედეგზე ორიენტირებული რეალიზაცია. ეს ხელს უწყობს პიროვენბის თვითშემეცნების, პროფესიული იდენტობის და სტრატეგიული აზროვნების უნარჩვევების განვითარებას. სასურველია, რომ სტუდენტები ღებულობდნენ პრაქტიკების ადგილის შერჩევაში უფრო აქტიურ მონაწილეობას და თვითონაც მოიზიდონ ახალი პარტნიორები. • არის სასურველი, რომ უნივერსიტეტში არსებობდეს არჩევითი საგანი - „კარიერის დაგეგმარების ინოვაციური მეთოდები“ (1 კურსის პირველივე სემესტრიდან (!)).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • მსჯავრდებულების, უსინათლოების და სხვა შშმ პირების განათლებაში გამოყენებული მიდგომები
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სილაბუსებში ასახულია შეფასების კრიტერიუმები, რომელიც აღნიშნულია თვითშეფასების დოკუმენტში და არ იწვევს არანაირ კითხვებს. სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, უწყვეტად ხელმისაწვდომი და სტანდარტებთან შესაბამისი. სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებენ კურსის სპეციფიკას და შეესაბამებიან კურსის სწავლის შედეგებს. შეფასებები ადექვატურია პროგრამის ფარგლებში საბაკალავრო დონის შესაბამისი კვლევითი უნარების განვითარებასთან, კვლევითი საგნების, კვლევითი პრაქტიკის და საბაკალავრო პროექტის ფარგლებში. ასევე სტუდენტთა შეფასებები გამოსახავს სტუდენტთა ჩართულობასაც სტუდენტურ კონფერენციებში, რაც ბუნებრივად ამდიდრებს სწავლების მეთოდის მრავალფეროვნებასაც. მნიშვნელოვანია რომ ხდება შეფასებული ნაშრომების განხილვა. სუსტ და ძლიერ მხარეებზე ყურადღების გამახვილება. ინერგება პროგრამის ჩარჩოში შეფასების სხვადასხვა სისტემა. ამიტომ ყველას აქვს შესაძლებლობა პროცესის თანამონაწილის შეფასების. თვით თვითშეფასების დოკუმენტიც წარმოადგენს ამ კულტურის ნაწილს. IT - ს სპეცილიასტის მიერ იყო წარმოადგენილი მათი სამსახურის მიერ შექმნილი ერთიანი ელექტრონული საგამოცდო სისტემა, რომელიც ნაყოფიერიად დაინერგა და ფუნქციონირებს. უნივერსიტეტი ღებულობს კომპლექსურ ზომებს იმისთვის რომ სტუდენტებმა არ მოახდინონ გამოცდების დროს „გადაწერა“. ამ პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა მიმდინარეობს ტექნიკური სამსახურების მხიდან, მაგრამ არ ჩანს, რომ „სწავლაზე

<u>არაორიენტირებულ სტუდენტებთან“</u> (ეს ტერმინიც გამოიკვეთა ინტერვიუირების დროს) მუშობდნენ ფსიქოლოგები. არ არსებობს ანალიტიკური დოკუმენტი, რომელლშიც იქნებოდა წარმოდგენილი შეფასება ამ პრობლემების მიზეზების და რა უნდა გაკეთდეს რომ ეს ვითარება პოზიტიურად შეიცვალოს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში. ○ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ○ სილაბუსები ○ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ○ ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • „სწავლაზე არაორიენტირებული სტუდენტების“ რაოდენობის შემცირებისთვის სასარგებლო იქნებოდა მათი განათლების მიმართ განწყობის ტრანსფორმაცია. ამ შესაძლებლობას იძლევა საქართველოში შემუშვებული სიმ-მეთოდი (სწავლა-სწავლების ინტეგრირებული მეტაკოგნიტური მეთოდი).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხულთათვის ყოველწლიურად იგეგმება საინფორმაციო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი სტუდენტებს სწავლის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს აცნობს. სტუდენტებს პროგრამაში ჩართული პირები აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში აქტიურად უწევენ კონსულტაციას. საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს დამსაქმებლებთან გაფორმებული აქვს მემორანუმები, რაც სტუდენტებს სტაჟირების გავლის, სამუშაოს დაწყების შესაძლებლობას აძლევს, მაგალითად: „შპს თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“, „შპს ჰედვაისი“, „კამარა“, „170-ე საბავშვო ბაგა-ბაღი“, „შპს სტრესის მართვისა და მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი“, „შპს ლოგომედი მეტყველების განვითარებისა და კორექციის ცენტრი“ და სხვა.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერული განვითარების ცენტრი, სადაც სტუდენტებს კარიერასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეუძლიათ კონსულტაციის მიღება. ასევე, ტარდება დასაქმების ფორუმები.

ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, კურსდამთავრებულებთან ხშირად კონტაქტობს, მათ სასწავლო პროგრამასთან, საუნივერსიტეტო საკითხებთან დაკავშირებულ კვლევებში რთავენ. უნივერსიტეტი ითვალისწინებს კურსდამთავრებულების მოსაზრებებს.

კურსდამთავრებულებს ისევე, როგორც აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს ვაკანსიები ელექტრონულად, ინტერესის მიხედვით, ეგზავნებათ. კარიერული განვითარების ცენტრს კავშირი აქვს დასაქმების საიტებთან (HR.ge, Jobs.ge). ფსიქოლოგებისთვის ვაკანსიების შერჩევა დასახელებული კომპანიების დახმარებითაც ხერხდება.

ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ რამდენიმე კურსდამთავრებული პროფესიითაა დასაქმებული, მაგალითად, კლინიკა „ენმედიქში“. სტუდენტები კვლევებში არიან ჩართულები, ისინი ევროპის სექსოლოგთა ასოციაციის წევრები გახდნენ (ESSM). ყოველწლიურად მონაწილეობას საზღვარგარეთ მიმდინარე კონფერენციებში იღებენ, ამ ეტაპზე პრაღაში მიემგზავრებიან.

კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ შესაძლებლობა ჰქონდათ პრაქტიკა სხვადასხვა დაწესებულებაში გაევლოთ, მაგალითად გლდანის ფსიქიატრიულში, სადაც ორი თვის მანძილზე თეორიულ მასალას ეცნობოდნენ იმისათვის, რომ პაციენტებთან შესახვედრად მომზადებულიყვნენ.

სტუდენტებს, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩაბარებისთანავე, უნივერსიტეტის ბაზასთან ინდივიდუალური წვდომა აქვთ. ბაზის მეშვეობით შეუძლიათ სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად მართვა, სასურველი საგნების არჩევა, სილაბუსების ნახვა, ლექტორებთან აქტიური კომუნიკაცია.

ელექტრონული ბაზებისა და მობილურზე გაგზავნილი შეტყობინებების საშუალებით უნივერსიტეტი სტუდენტებს ინფორმაციას ფსიქოლოგებისთვის განკუთვნილი ვაკანსიების შესახებ აწვდის.

კონსულტაციის საათების შესახებ ინფორმაცია სტუდენტის პირად ვებ-გვერდზეა დაფიქსირებული (https://seu1.ini.ge).

აღსანიშნავია, რომ სამომავლოდ იგეგმება საორიენტაციო პროგრამის წამოწყება, რომლის ფარგლებშიც უფროსკლასელი სტუდენტები პირველკურსელებთან იმუშავებენ, ინფორმაციას მიაწვდიან სასწავლო პროცესის მიმდინარეობის თაობაზე.

ასევე, იგეგმება ფსიქოკონსულტირების პროგრამის წამოწყება - სტუდენტებს სრულიად უფასოდ შეეძლებათ ფსიქოლოგიური დახმარების, კონსულტაციის მიღება.

საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში წელიწადში ორჯერ იმართება კონფერენცია, სადაც სტუდენტს კონკრეტული მიმართულების თემის/საკითხის წარდგენა შეუძლია. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები საკმაოდ აქტიურად არიან ჩართულები.

უნივერსიტეტის ფარგლებში ტარდება კონკრეტული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისთვის განკუთვნილი ტრენინგები, როგორიცაა რეზიუმეს/CV-ის შედგენა, სამოტივაციო წერილის დაწერა, გასაუბრებისთვის საჭირო ცოდნის მიღება.

ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის ტრენინგების ჩატარების საკითხს მეტი ყურადღება მიექცევა. მაგალითად, აპირებენ „ტრენერთა ტრენინგის“ შეთავაზებას.

სტუდენტები საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში კვლევებში არიან ჩართულები. ისინი დამოუკიდებლად ან შეთავაზებული საკითხებიდან ირჩევენ საკვლევ თემას. აკადემიური პერსონალი სტუდენტებს კვლევის სათანადოდ ჩატარებაში მაქსიმალურად უწყობს ხელს.

საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში აქტიურად ტარდება ფსიქოლოგიის თემასთან დაკავშირებული საჯარო ლექციები, მაგალითად უახლოეს წარსულში ლექციები შეეხებოდა ზოოფსიქოლოგიას, ფსიქოსექსოლოგიას.

სტუდენტებისათვის ეწყობა ფილმის ჩვენებები და ჯგუფური დისკუსიები. მაგალითად, ფსიქოლოგიის სტუდენტები ჩაერთვნენ ერთ-ერთი ფილმის განხილვაში, რომელიც ზიმბარდოს „ციხის ექსპერიმენტის“ მიხედვითაა გადაღებული.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ფსიქოლოგთა კლუბი. კლუბის წევრები გეგმავენ საჯარო ლექციებს, კვლევებს.

სტუდენტები მიმდინარე პროექტების, კონფერენციების, საჯარო ლექციების შესახებ ინფორმაციას ელექტრონული ბაზის, უნივერსიტეტის საიტის (https://www.seu.edu.ge) მეშვეობით იღებენ, შეტყობინებები მობილურ ტელეფონებზე მისდით. სტუდენტებს ინფორმაციას აკადემიური პერსონალიც აწვდის.

უნივერსიტეტში ეწყობა ფილმის ჩვენებები და ჯგუფური დისკუსიები. მაგალითად, უახლოეს წარსულში, ფსიქოლოგიის სტუდენტები ზიმბარდოს „ციხის ექსპერიმენტის“ მიხედვით გადაღებული ფილმის განხილვაში ჩაერთვნენ.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ფსიქოლოგთა კლუბი. კლუბის წევრები გეგმავენ საჯარო ლექციებს, კვლევებს.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სწავლა უცხოეთის უნივერსიტეტებში გააგრძელონ. სეუ-ს მემორანდუმები მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტთან აქვს გაფორმებული (ნიდერლანდების, გდანსკის უნივერსიტეტი). ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ რამდენიმე სტუდენტმა ისარგებლა გაცვლითი პროგრამით და სასწავლებლად გაემგზავრა ლატვიაში, პოლონეთში.

კონსულტაციის საათები აკადემიური პერსონალის დატვირთვაში, კერძოდ შრომით ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია. არგუსზე ასახულია კონსულტაციისთვის გამოყოფილი კონკრეტული დრო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში;
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი ახორციელებს. ისინი ფლობენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ პედაგოგიურ და პრაქტიკული გამოცდილებას, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებით და უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე განხორციელებული ინტერვიუირებით. პროგრამაში ჩართულია 65 აკადემიური/მოწვეული პერსონალი, მათ შორის 25 აკადემიური, 42 - მოწვეული. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, მოწვეული პერსონალის შერჩევისას გათვალისწინებულია დარგში პრაქტიკულ გამოცდილება, რაც გულისხმობს ფსიქოლოგიის შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილებას. უნივერსიტეტს დანერგილი აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემა, რომელიც გულისხმობს, როგორც პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების, ასევე კვლევითი აქტივობის, პროგრამის განვითარებაში ჩართულობის, პროფესიული განვითარებისა და სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებლების ურთიერთშეჯერებას. შედეგები გამოიყენება პერსონალის განვითარების, წახალისების ან შეცვლისათვის სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად. ფსიქოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელს აქვს სასწავლო პროცესში მონაწილეობის მრავალწლიანი გამოცდილება, შექმნის დღიდან, ჩართულიაპროგრამის შეფასება-

განვითარებაში, მონაწილეობს პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში;

გარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების მომსახურებას საჭირო რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

ადმინისტრაციული პერსონალით და აკადემიური კორპუსით სტუდენტების კმაყოფილება მოწმდება ყოველსემესტრულად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. შეფასების პროცესი ხასიათდება როგორც ვერტიკალური (იერარქიული), ასევე ჰორიზონტალური მიდგომით. შეფასების პროცესში ჩართულია ყველა რგოლი. თვითშეფასების დოკუმეტში ნათლადაა წარმოდგენილი შეფასებების ყველა პროცედურა. უნივერსიტეტში რეგულარულად ეწყობა სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განვითარებას. განსაკუთრებით საინტერესოა რეგულარული საჯარო ლექციების პრაქტიკა. ტარდება ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია და ქვეყნდება წარმოდგენილი ნაშრომები. გამოიცემა ჟურნალი და მიმდინარეობს პროცესი მისთვის ინდექსის მინიჭების საერთაშორისო ბაზებში. სტუდენტები და პროფესორები აქტიურად ღებულობენ მონაწილეობის საუნივერსიტეტო კონფერენციებში, საჯარო ლექციებში და ტრენინგებში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებას, საერთაშორისო კონფერენციებსა და ვორქშოფებში მონაწილეობის ფინანსურ ხელშეწყობას; უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური ატარებს რეგულარულ ტრენინგებს პერსონალის და პედაგოგების განვითარების მიზნით როგორც კომუნიკაციური უნარჩვევის, ასევე სტრატეგიული დაგეგმარების და პროცესის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფისთვის. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ზრუნავს საკადრო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტზე. ხელს უწყობს პოზიტიურ ატმოსფეროს შექმნას ორგანიზაციაში და ორგანიზაციული კოონფლიქტების პრევენციას. ასევე მათ მიერ ხოეციელდება: უნივერსიტეტის უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური და მოტივირებული კადრებით; რეკრუტინგი; აკადემიური კონკურსები; რეზერვი; არსებული კადრების განვითარება; დატვირთვის მონიტორინგი; პირადი საქმეების ადმინისტრირება. სტუდენტების კონტიგენტის გამოსათვლელი მოდელი არეგულირებს სტუდენტების და პედაგოგების პროცენტულ ბალანს დადგენილი სტანდარტების მიხედვით. მნიშვნელოვანია რომ უნივერსიტეტი ზრუნავს სტუდენტების დასაქმებაზე თვით უნივერსიტეტში. გამომდინარე აქედან, სტუდენტები წარმოადგენენ ადამიანური რესურსების სერიოზულ პოტენციალს. ამის მაგალითია თვით ხარისხის სამსახურის დაკომპლექტება კურსდამთავრებულებით; საუნივერსიტეტო ტურისტულ სააგენტოში და

ა.შ. უნივერსიტეტი ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე და ახდენს სტიმულირებას სწავლის შემდეგ საფეხურზე გადასვლის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება
- სტუდენტების კონტიგენტის გამოსათვლელი მოდელი
- მომსახურების ტრენინგების მასალა
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
- სამუშაოს ეფექტიანობის შეფასება - ტრენინგის მასალები
- უნივერსიტეტის აკადემიური და კურიკულუმის განვითარების ზოგადი საკითხები - ტრენინგის მასალები
- სწავლება-სწავლის მეთოდები და მათი ეფექტურობის შეფასება - ტრენინგის მასალები
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სტუდენტებისთვის ქმნის სასწავლო გარემოს. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საგამოცდო ცენტრი. უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს ელექტრონულ ბაზებს იმისათვის, რომ სასწავლო პროგრამა მთლიანად სტუდენტების საჭიროებებზე იყოს მორგებული. მაგალითად ე.წ. "Live პროგრამა" სტუდენტებს აძლევს საშუალებას ელექტრონულად აირჩიოს გამოცდის ჩაბარების თარიღი და რეგიონი. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს რეგიონებშიც აქვს საგამოცდო ცენტრები, რომლებიც, ასევე, მაღალტექნოლოგიური საშუალებებითაა აღჭურვილი. მატერიალური რესურსი, იქნება ეს აუდიტორიების ინფრასტრუქტურა, მთლიანობაში უნივერსიტეტის შენობა ულტრათანამედროვე რესურსებითაა აღჭურვილი. უნივერსიტეტის შენობაში დაცულია უსაფრთხოების ნორმები.

ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებზეა მორგებული. სპეციალურად რამდენიმე მათგანისთვის გამოიყო ეტლები.

უნივერსიტეტში არსებული ბიბლიოთეკა აკმაყოფილებს სტუდენტების მოთხოვნებს - ბიბლიოთეკაში არსებული სამკითხველო დარბაზი თანამედროვე ინფრასტრუქტურითაა აღჭურვილი. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ბეჭდური ლიტერატურითა და ელექტრონული ბაზებით (Cambridje Journals Online, e-Duke Journals Scholarly Collection, Edvard Elgar Publishing Journals and Development Studies e-book, ImechE Journals, Science Direct და სხვ.). ელექტრონული ბაზები სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს გაეცნონ დარგის უახლოეს სამეცნიერო გამოცემებს. ბიბლიოთეკის სტუმრებს დაწესებულებაში კომპეტენტური პერსონალი ხვდებათ.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსით გათვალისწინებული სასწავლო მასალის ბეჭდური ვერსიები, სტუდენტებს მასალებთან წვდომა ელექტრონული ბაზების საშუალებითაც აქვთ.

ამ ეტაპზე უნივერსიტეტში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, იხსნება ახალი ბიბლიოთეკა, რომელიც თანამედროვე ინფრასტრუქტურით იქნება აღჭურვილი.

მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე, პერსონალისთვის.

სტუდენტები საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში არსებული რესურსების შესახებ საინფორმაციო შეხვედრებზე იღებენ ინფორმაციას. მათ იციან რესურსებით სარგებლობის წესები. • უნივერსიტეტს გააჩნია უნიკალური საერთაშორისო რანგის საკონფერენციო სივრცეები და შესაბამი ინფრასტრუქტურა, რომელიც იძლევა საშუალებას რომ უნივერსიტეტი იყოს სტრატეგიული ლიდერი მეცნიერების და განათლების სფეროში. • უნივერსიტეტს გააჩნია საკუთარი მრავალპროფილიანი ტურისტული სააგენტო. ეს ხელს უწყობს მობილობას და ინტერნაციონალური პოლიტიკის ეფექტურ წარმოებას. • უნივერსიტეტის საქველმოქმედო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია შშმ პირების და სხვა კატეგორიების განათლების სტიმულირებაზე. ესაა როგორც სპეციალური სივრცეები აუდიოტირებში, ასევე მათი სპეციალური ტექნიკით უზრუნველყოფა.სასჯელაღსრულების სისტემაში მყოფი 6 სტუდენტის განათლებაზე ზრუნვა. • სპორტული ინფრასტრუქტურის და რეკრეაციული ზონის პროექტი იძლევა საშუალებას რომ მომავალში ხდებოდეს სტუდენტების ჰარმონიული - ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური განვითარება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი; ○ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა; ○ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო; პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან; ○ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ რეგიონებში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საგამოცდო ცენტრები, ე.წ. “Live პროგრამა“ სტუდენტებს აძლევს საშუალებას ელექტრონულად აირჩიოს გამოცდის ჩაბარების თარიღი და ტერიტორია.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სახელფასო დანახარჯებსა და მათი ნაშრომების გამოცემა-დაბეჭდვაზე. ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო მივლინენებისადა სტუდენტთა დაფინანსება გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო ტრენინგებსა და კონფერენციებში. დამსაქმებლები კმაყოფილნი არიან იმით, რომ სხვა უნივერსიტეტებისგან განსხვავებით, სეუ ახდენს პრაქტიკების პროგრამის ფინანსურ სტიმულირებას ხელშეკრულების ჩარჩოში. სტუდენტები (როგორც გადამხდელები), კმაყოფილები არიან იმით, რომ არაა მაღალი გადასახადი. პედაგოგები არ გამოთქვამენ უკმაყოფილებას მათი ანაზღაურების ტარიფებით. ამავე დროს ჩატარებული კვლევის მონაცემები გვაჩვენებს რომ შრომის სტიმულირების პოლიტიკით ნაკლებად არიან კმაყოფილები. პროგრამას არ გააჩნია არასაბიუჯეტო თანხების მოზიდვის დამოუკიდებელი სტრატეგია. პროგრამას ასევე არ გააჩნია გადამხდელებთან ურთიერთბის სტრატეგია (სტუდენტები; მშობლები; მზრუნველები; დაინტერესებული დამსაქმებლები).

სამწუხაროდ ყველაზე მცირე საბიუჯეტო სტატიები არის „კვლევითი აქტიობების ხარჯები“ და „აკადემიური პერსონალის განვითრების ხარჯები“. საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე და უნივერისტეტის ჟურნალში ფსიქოლოგიური კვლევები არაპროპორციულად მცირედ არის წარმოადეგნილი. ძლიერ მხარეებში თვითშეფასების დოკუმენტში არის წარმოდგენილი <u>პროგრამის განვითრების ბიუჯეტი,</u> მაგრამ მეტი ინფორმაცია ამის თაობაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვერ მოვიძიეთ. თვით თვითშეფასების დოკუმენტშიც ინდიკატორებში აღნიშნულია ტერმინი <u>„პროგრამის ბიუჯეტი“. „პროგრამის ბიუჯეტშიც“ „პროგრამის განვითარების ბიუჯეტი“ ასახული არაა.</u> მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორია ჯერ არარის, პროგრამაში ნახსენებია, რომ გარკვეული ლაბორატორიული კვლევები ტარდება სხვა პროგრამებთან არსებულ ლაბორატორიულ სივრცეებში. ასევე იგეგმება ახალი აფილირებული მასწავლებლების მოზიდვა და კონფერენციებში მონაწილეობის ბიუჯეტის ზრდა. პროგრამა სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომერციული თვალსაზრისით წარმოადგენს მომგებიან პროექტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შეხვედრებმა გვაჩვენ, რომ ყველა ის ადამიანი ცისაც ჩვენ ვხვდებოდით კამყოფილი იყო არსებული ვითარებით და საბიუჯეტო პოლიტიკით. ○ ბიუჯეტის დოკუმენტი ○ სამეცნიერო კონფერენციის მასალები - ჟურნალი (2016-2017-2018) ○ თვითშეფასების გეგმა ○ პროგრამა ○ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია რომ პროგრამაში იყოს წარმოდგენილი პროგრამის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის სტრატეგია. პროგრამა იძლევა საკამაოდ სოლიდურ წმინდა მოგებას და უნდა განიხილებოდეს, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის სუბიექტი. ○ თვითშეფასების დოკუმენტში დაფიქსირებულია ამ პროგრამაზე მსურველთა რაოდენობის მცირე კლება, რაც მოითხოვს დამატებით ყურადღებას და მიზეზების შესწავლას. ამ მიმართულებით სასურველია რომ ჩატარდეს

დამატებითი კვლევა. ამაზე არის დამოკიდებული პროგრამის ეკონომიკური სიმდგრადე. ○ **გადამხდელებთან** ურთიერთობის სტრატეგიის შექმნა. სასურველია, რომ ეს მნიშვნელოვანი კატეგორია მომავალ კვლევებში და პროგრამაშიც იყოს დაფიქსირებული როგორც ეკონომიკური აგენტების ქვეკატეგორია (გვერდი 32). ○ სასურველია გაირკვეს **„პროგრამის განვითარების ბიუჯეტის“** შესახებ ინფორმაცია. და იმ შემთხვევაში თუ ის არ არსებობს, ამოღებული იყოს ეს ფრაზა თვითშეფასების დოკუმენტიდან. ○ სასურველია ბიუჯეტის გაზრდა „სამეცნიერო კვლევების“ და „ადამიანური რესურსების განვითარების“ სტატიებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც სწავლების, კვლევის ხარისხის და მოქმედი სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დახვეწაზეა მიმართული. როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის საქმიანობა იგეგმება მუშაობის საერთო PDCA პრინციპების შესაბამისად, P (plan) - დაგეგმვა; D (do) განხორციელება; C (check) - შემოწმება; A (act) - რეაგირება. PDCA პრინციპების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის მხრივ განსაზღვრავს უნივერსიტეტის საქმიანობის შესამოწმებელ და შესაფასებელ ასპექტებს, შემოწმების თანამიმდევრობას, ამოწმებს და შემოწმების მიზნით ქმნის შესაბამისი კომპეტენციების მქონე შემმოწმებელთა ჯგუფს, შემოწმების საფუძველზე აანალიზებს მიღებულ შედეგებს, შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული მოიცავს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების სასწავლო კურსებით გაწერილი სასწავლო აქტივობების განხორციელების, მათი შინაარსისა და საჭირო მატერიალური რესურის შემოწმებას, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების პერიოდულ მონიტორინგს, შესაბამისი ადამიანური რესურსის შეფასებასა და გაუმჯობესებას. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნვეოყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცეს ში;ხარისხის შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებდა ხარისხის შეფასების შედეგებს; პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ○ თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები; ○ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა განვითარების მიზნით იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

პროგრამაზე განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, გათალისწინებულია 2015 წელს დამტკიცებული რეკომენდაციები, კერძოდ, მოხდა სავალდებულო და არჩევითი კურსების მოდიფიცირება. საგნები დალაგდა მარტივიდან რთულისკენ, ზოგადიდან კერძოსკენ. კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული რეკომენდაციები, როგორიცაა სათანადო ლიტერატურის შერჩევა, კურსის შინაარსის შესაბამისად გადაწყობა, ორსემესტრიან კურსად გადაკეთება, გათვალისიწინებულია. კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები ერთმანეთს შეესაბამება. გათვალისიწნებულია განვითარების ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული რეკომენდაცია, საგანი მოიაზრებს ადამიანის განვითარების სრულ ციკლს.

სასწავლო პროგრამა მიმართავს გარე ხარისხის შეფასების დამატებით ტექნიკას, რომელშიც მოიაზრება სხვადასხვა უნივერსიტეტიდან ექსპერტების, აკადმიურ სივრცეში ჩართული პირების მოწვევა და მათი მხრიდან რეკომენდაციების, შეფასების მოსმენა, გათვალისიწნება. ნაწილობრივად ეს პროცესი უკვე მიმდინარეობს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე ხარისხის შეფასების შედეგები;
- გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება პროგრამის მოდიფიცირება.

ხარისხის სამსახურის მიერ, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, წინასწარ განსაზღვრული შეფასების ფორმის შესაბამისად ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. აღნიშნულის შესახებ სასწავლო წლის დასაწყისში ინფორმირებული არიან პროფესორ/მაწავლებლები. ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების გაცნობა პროფესორ/მასწავლებლებისათვის.

სასწავლო კურსის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი სემესტრის ბოლოს, სტუდენტები კითხვარების მეშვეობით აფასებენ სასწავლო კურსებს და კურსის ლექტორებს. ხდება შედეგების დამუშავება, რეკომენდაციების შემუშავება და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო კურსის სილაბუსის მოდიფიცირება.

ფსიქოლოგიის პროგრამის შემუშავებისას, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოხდა დადარება საქართველოს და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და გათვალისწინებულია საუკეთესო პრაქტიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამისმონიტორინგისა და პერიოდულიშეფასების შედეგები და ამ შედეგების ლექციაზე დაკვირვების ფორმა;
- კადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასების შედეგები;
- სასწავლო კურსის შეფასების მიზნით განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ალექსანდრე რუსეცკი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

თეა გოგოტიშვილი 

თინათინ გვაძაბია